ნასყიდობის ხელშეკრულება
N 05/06/15/01

ხელშეკრულების დადების ადგილი: ქ. თბილისი
ხელშეკრულების დადების თარიღი:05.06.2015

ერთის მხრივ, სსიპ გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (217881424) წარმოდგენილი დირექტორის, ნიკო კვირიკაშვილის სახით, მეორეს მხრივ, შპს „ციტადელი" ს/კ 404924285, იურიდიული მის: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დიღომი დ.თავდადებულის ქ., N 16, ბ. 50) წარმოდგენილი დირექტორის გრიგოლ ქურცაძის სახით (შემდგომში – გამყიდველი), მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს:

1.1.1. საქონლის დასახელება: ფანერა III/IV 18*1525*1525 მმ ; საქონლის ზომის ერთეული: ცალი; საქონლის რაოდენობა:28.

1.1.2. საქონლის დასახელება: ფანერა IV/IV 18*1525*1525 მმ ; საქონლის ზომის ერთეული: ცალი; საქონლის რაოდენობა:2.

1.2. მყიდველი ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს საქონლის ღირებულება.

2. საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

2.1. ამ ხელშეკრულების 1.1.1. პუნქტში გათვალისწინებული, ერთეული საქონლის ფასი: 50.0000. საქონლის სრული ფასი: 1400.0000.
ამ ხელშეკრულების 1.1.2. პუნქტში გათვალისწინებული, ერთეული საქონლის ფასი: 50.0000. საქონლის სრული ფასი: 100.0000.

2.2. მყიდველის მიერ გამყიდველისათვის საქონლის სრული ღირებულების გადახდის ვადად განისაზღვროს 2015 წლის 11 ივნისი.

2.3. ნასყიდობის ფასის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, დავალიანებას გამყიდველის სასარგებლოდ დაერიცხება საურავი-ფაქტობრივად არსებული დავალიანების 0,3 %–ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. დავალიანების დარიცხვა გაგრძელდება დავალიანების სრულად დაფარვამდე.

2.4. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი პირგასამტეხლოს/ჯარიმის დაკისრება წარმოადგენს მხარის უფლებას და არა ვალდებულებას. პირგასამტეხლოს მიღების უფლება მოპოვებულად ითვლება და შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადახდას მყიდველისთვის წინასწარი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, პირგასამტეხლოს დარიცხვა განხორციელდება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მიუხედავად წერილობითი მოთხოვნის თარიღისა.

2.5. მხარეებს შორის ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის შეძენიდან საქონლის მყიდველის მიერ მისი ღირებულების დაფარვამდე უცხოური ვალუტის კურსი (ამერიკული დოლარი) გაიზრდება 5 (ხუთი) მეასედი ერთეულით მაინც, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის გასაყიდ კურსთან მიმართებაში, გამყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მყიდველს მოახდინოს ანგარიშსწორება გაზრდილი კურსის შესაბამისად და საქონლის თავდაპირელ ღირებულებას დაამატოს კურსთა შორის სხვაობის ოდენობა.

3. მხარეთა უფლება–მოვალეობები

3.1. გამყიდველი უფლებამოსილია:

დირექტორი	დირექტორი
ნიკო კვირიკაშვილი	გრიგოლ ქურცაძე

მოსთხოვოს მყიდველს გადაცემული პროდუქციის ღირებულების დროული გადახდა.

3.2. გამყიდველი მოვალეა:

3.2.1. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ფლობდეს და განკარგავდეს 1.1 პუნქტში აღნიშნულ საქონელს;

3.2.2. მყიდველს მიაწოდოს უნაკლო და ხარისხიანი საქონელი მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში;

3.2.3. ნასყიდობის საგნის მყიდველისათვის გადაცემამდე უზრუნველყოს მისი შეთანხმებული პირობებით შენარჩუნება;

3.3. მყიდველი უფლებამოსილია:

3.3.1. დროულად მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნასყიდობის საგანი.

3.4. მყიდველი მოვალეა

3.4.1.მიიღოს გამყიდველისაგან ნასყიდობის საგანი და ნასყიდობის საგანთან დაკავშირებული ყველა საბუთი ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და წესით;

3.4.2.ნასყიდობის საგნის ფასი გადაიხადოს სრულად შეთანხმებულ დროს;

3.4.3. გამყიდველის მიმართ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად.

3.4.4.არსებობის შემთხვევაში, გამოვლენისთანავე შეატყობინოს გამყიდველს შემჩნეული წუნის თაობაზე.

3.4.5.წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში გამყიდველს გადაუხადოს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.3 %–ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1.თითოეული მხარე ვალდებულია დაკისრებული ვალდებულება შესარულოს დადგენილი წესით,შეთანხმების ფარგლებში. ამასთან თითოეულმა მათგანმა ხელი უნდა შეუწყოს მეორე მხარეს ვალდებულების შესრულებაში. მხარე, რომელიც არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა;

4.2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მეორე მხარისთვის მიყენებული ზარალი სრული მოცულობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებული პირგასამტელოს დარიცხვას.

5. მიღება-ჩაბარების წესი

დირექტორი	დირექტორი
ნიკო კვირიკაშვილი	გრიგოლ ჟურცაძე

5.1. საქონლის მიწოდებული საქონლის მოცულობა განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი და გამოწერილი სასაქონლო ზედნადებების მიხედვით.

5.2.იმ შემთხვევაში, თუკი მყიდველი ნასყიდობის საგნის მიღებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში არ განაცხადებს ნაკლის არსებობის თაობაზე, ნასყიდობის საგანი ჩაითვლება უნაკლოდ.

6. ფორს–მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

6.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს–მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებლი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა.

6.3. ფორს–მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამერ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ისეთ ალტერნატიული ხერხებს, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.

6.4. ფორს-მაჟორი არ ათავისუფლებს მხარეებს მისი(ფორს-მაჟორის) დასრულების შემდეგ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან/და ვადამდე მოშლა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება შეტანილ იქნეს მხარეების წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

7.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

7.2.1. მხარეთა შეთანხმებით;

7.2.2. ერთ–ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში.

8. დავათა განხილვა

8.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

8.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

დირექტორი
ნიკო კვირიკაშვილი

დირექტორი
გრიგოლ ქურცაძე

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეებს შორის ხელმოწერისთანავე და ძალაშია მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზეპლიარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა;

10.2. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად;

10.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის, მათი სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

10.4. წინამდებარე ხელშკრულებით გათვალისწინებული პირობები წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ უნდა მოხდეს მითი გამჟღავნება მესამე პირთათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.5. საკითხები, რომელიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. მხარეთა რეკვიზიტები

მყიდველი:	გამყიდველი:
სსიპ გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი ქ.გორი, ჭავჭავაძის ქ.24 ს/კ 217881424 სახელმწიფო ხაზინა ა/ა	შპს „ციტადელი" ქ. თბილისი, დ.თავდადებულის ქ. N 16, ბ. 50 ს/კ 404 924 285 სს „პროკრედიტ ბანკი" ა.ა. GE03PC0223600100011777

დირექტორი
ნიკო კვირიკაშვილი

დირექტორი
ბ.ბ.
ბორგოლა ბერიძე